შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

2024, აგვისტო

კვლევის დიზაინი

- კვლევის მიზნები და ამოცანები
- კვლევის მეთოდოლოგია
- თემის აქტუალობა
- შერჩევა
- კვლევის მონაცემები
- რეკომენდაციები

კვლევის მიზანი და ამოცანები

* **საკვლევი საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა
* **კვლევის მიზნები:**
  - ❖ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლებლით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;
  - ❖ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;

კვლევის ამოცანები:

❖ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება;

❖კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება;

❖საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება;

❖კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება;

❖პროფესიული მასწავლებლის შეფასება;

❖სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება;

❖ კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის სამიზნე ჯგუფი: კვლევის განხორციელების მომენტისთვის კოლეჯის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი.

კვლევის ინსტრუმენტი: რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი.

საკვლევი თემის აქტუალობა

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იყოს კონკურენტუნაირიანი, აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტებსა და უზრუნველყოფდეს ერთის მხრივ დამსაქმებლის, ხოლო მეორეს მხრივ, თავად დაწესებულებით მოსარგებლის ინტერესებსა და მოთხოვნებს.
- პსდ-სთვის აუცილებელია დადგინდეს სტუდენტთა კმაყოფილება მთლიანად კოლეჯის მიერ შეთავაზებული სწავლის ხარისხით, ინფრასტრუქტურით, სივრცით, გარემოთი და იმ პირებით, ვისი მონაწილეობითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა.
- სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება იმ საჭიროებების და ხარვეზების გამოვლენა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებას.

შერჩევა

- კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა მოხდა კოლეჯის ბაზიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებიდან. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.
- კვლევამ მოიცვა თითოეული პროგრამის სტუდენტების სულ მცირე 80%.
- კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 191-მა სტუდენტმა.
- კვლევა ჩატარდა ელექტრონულად, Google Forms-ის მეშვეობით

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე სტუდენტების ასაკობრივი მაჩვენებელი მოიცავდა 15-დან - 61 წლამდე ასაკს.

- 15-დან - 18 წლამდე სტუდენტების რაოდენობა არის 10. 8 მათგანი სწავლობს ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამაზე, ხოლო 2 საფინანსო სერვისებზე.
- 18-25 წლამდე - 75 სტუდენტი. ინფორმაციული ტექნოლოგიები - 2, აღმზრდელი - 4, ფარმაცია -22, საექთნო განათლება - 33, საფინანსო სერვისები - 13.
- 26-36 წლამდე სულ 62 სტუდენტია - 19 სტუდენტი აღმზრდელის და საექთნო განათლების პროგრამებზე, 17 სტუდენტია ფარმაციის პროგრამაზე, 7 სტუდენტია საფინანსო სერვისებზე, ხოლო ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე არის 0.
- 36 წლიდან ზემოთ სწავლობს 44 სტუდენტი. აღმზრდელი - 20 სტუდენტი, საექთნო განათლება -18 სტუდენტი, ფარმაცია - 4 სტუდენტი, საფინანსო სერვისები - 2 სტუდენტი.

კვლევის მონაცემები

მონაცემების მიხედვით, დადგინდა, რომ კოლეჯში 26 წელს ზემოთ უფრო პოპულარულია პროფესიული განათლება და კოლეჯში სტუდენტების ასაკობრივი ჭრილი უფრო მაღალია - სულ 106 სტუდენტი, ხოლო 26 წლამდე მაჩვენებელი შედარებით დაბალია - სულ 85 სტუდენტი.

სქესის მიხედვით სტუდენტთა განაწილება დამოკიდებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შინაარსობრივ მხარეზე, კერძოდ, კოლეჯის 9 მამრობითი სქესის სტუდენტებს შორის, 4 სტუდენტი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამაზე, 2 საექთნო განათლება და 3 საფინანსო სერვისებზე.

კვლევის მონაცემები:

სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი

- გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე 97 სტუდენტი არის დასაქმებული. ხუთივე პროგრამის ფარგლებში დასაქმებული სტუდენტებიდან 66 არის პროფილურად დასაქმებული, 12 კი მონათესავე სფეროში.
- ხოლო იმ სტუდენტთა მაჩვენებლი, რომელიც არ არის დასაქმებული, არის - 94.

კვლევის მონაცემები:

სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი

- სტუდენტების მიერ დასახელებული მიზეზები, რაც ხელს უშლის მათ დასაქმებას.



კვლევის მონაცემები:

სასურველი პროგრამის არჩევი მოტივი:

- კვლევის ფარგლებში სტუდენტებთან ჩაკითხვა მოხდა იმის თაობაზე, თუ რატომ დაინტერესდნენ პროფესიული განათლებით, კონკრეტულად კი იმ პროგრამით, რაზეც სწავლობენ.
- თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება სჭირდებათ სასურველ სფეროში მუშაობის დაწყებისთვის. უშუალოდ პროგრამას რაც შეეხება, მათ ინტერესებთან იყო ახლოს და ამიტომ გააკეთეს მასზე არჩევანი ან უკვე მუშაობდნენ იმ სფეროში და არსებული ცოდნის გაღრმავება სურდათ.

კვლევის მონაცემები:

კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები:

- როგორც იკვეთება, საინფორმაციო საშუალებებს შორის დომინირებს სოციალური ქსელები.



კვლევის მონაცემები:

სტუდენტების ინფორმირებულობის დონე დაწესებულების მისია/ხედვა/ღირებულებების შესახებ:

- 173 მათგანი იცნობს კოლეჯის

მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ხოლო 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცნობადობასთან დაკავშირებით დადებითი პასუხი გასცა 119-მა სტუდენტმა.



კვლევის მონაცემები:

რაც შეეხება შინაგანაწესიის შესახებ ინფორმაციის ფლობას, 167-მა სტუდენტმა განაცხადა, რომ იცნობენ კოლეჯის შინაგანაწესს და მათ დაასახელეს ამ ინფორმაციის მიღების გზები.



კვლევის მონაცემები:

სტუდენტთა ინფორმირებულობის შეფასება:

- 124-მა (65%) სტუდენტმა იცის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის წესი და მათგან უმრავლესობამ დაასახელა კონკრეტული გარემოებები, თუ რა შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა.
- საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას ფლობს 182 სტუდენტი.
- პროგრამის ხანგრძლივობა უმრავლესობამ სწორად დაასახელა, მაგრამ მათმა მხოლოდ მცირე რაოდენობამ შეძლო მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება.
- კოლეჯის მიერ მათთან კომუნიკაციის დამყარების საშუალებებს შორის უმრავლესობამ (171) ელექტრონული ფოსტა დაასახელა, სოციალური ქსელი 84-მა სტუდენტმა, ხოლო კოლეჯის ვებ-გვერდი 73-მა სტუდენტმა.

კვლევის მონაცემები:

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება:

კვლევაში მონაწილე 183 სტუდენტი ასახელებს, რომ მასწავლებელი სწავლის დაწყების წინ აცნობს პროგრამას და მოდულს, რომელიც უნდა შეისწავლონ.

სტუდენტთა თითქმის უმრავლესობამ (157 სტუდნეტმა) 9 და 10 ქულით შეაფასა 10 ბალიანი შეფასების შკალაზე პროგრამის განხორციელების ხარისხი.

კვლევაში მონაწილე 182 სტუდენტი თვლის, რომ მოდულის სწავლებისას მასწავლებლის მიერ გამოყენებული დავალებები სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისია.

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობამ 94% (179) 9 და 10 ქულაზე შეაფასა ადმინისტრაციის თანამშრომლების მხარდაჭერა.

კვლევის მონაცემები:

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება:

- კვლევაში მონაწილე სტუდენტები (190) კმაყოფილები არიან კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემით. 184 სტუდენტი თვლის, რომ კოლეჯში მოქმედი შეფასების ფორმა და მეთოდები არის ობიექტური.



კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

კვლევის ფარგლებში სერვისების შეფასების მიმართულებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ის პირველი აქტივობები, რომლებიც სტუდენტებთან განხორციელდა მათი ჩარიცხვის დროს და მიმდინარე დღეებში. კვლევის მონაცემებით გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას ჰქონდა საინფორმაციო შეხვედრები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მათ მიეწოდათ ინფორმაცია სტუდენტების უფლებებისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

- კოლეჯის მიერ დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გზები:



კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

- კოლეჯი ყოველ წელს გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა არაფორმალური სახის აქტივობები. კვლევაში მონაწილე სტუდენტთა 90% (109) აცხადებს, რომ მათ იცოდნენ კოლეჯის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.
- ისინი ასახელებენ ღონისძიებებს: დედაენის დღისადმი მიძღვნილი, ქართული ენის კვირეული, სტუდენტური კონფერენცია, სტუდენტური წარდგენა დამსაქმებლებთან, საახალწლო ღონისძიება, დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები, საქველმოქმედო აქციები, კონფერენციები და კულტურული ღონისძიებები.

კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

- ურთიერთობის ფორმები, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ადმინისტრაციას მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების და სურვილების შესახებ.



კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

- გამოკითხული სტუდენტების 70%-მა იცის კოლეჯის მიერ სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით გაუმჯობესებული მონაცემია, 2023 წელს 52% აცხადებდა, რომ იცოდა ასეთი შესაძლებლობის შესახებ.
- სტუდენტთა 74%-მა იცის ვის და რა ფორმით შეიძლება მიმართოს, თუკი მას აქვს ინიციატივები.
- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის მიმართულები, რომლებთან დაკავშირებითაც სტუდენტები ფიქრობენ ინიციატივების ფორმატში. კერძოდ: პროფილური მიმართულების თემატური ღონისძიებები, სხვა არაპარტიონიორი აფთიაქების გათვალიერება, დაწესებულებაში ქალთა უფლებების თემაზე ღონისძიება.

კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

სტუდენტთა მოლოდინები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სწავლის დაწყებამდე:



კვლევის მონაცემები:

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება:

სტუდენტთა მოლოდინების გამართლების მაჩვენებელი პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

- მონაცემების მიხედვით, 179 სტუდენტის შემთხვევაში მათი მოლოდინები მთლიანად გამართლდა სწავლის დაწყების შემდეგ.



კვლევის მონაცემები:

კოლეჯის სასწავლო რესურსის და აღჭურვილობის შეფასება:

* სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი სასწავლო რესურსით და აღჭურვილობით



კვლევის მონაცემები:

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება:

- სტუდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობას და უსაფრთხოების ნორმებს სასწავლო პროცესის დროს. ასევე გათბობის საკითხს ადასტურებს 183 სტუდენტი.
- სტუდენტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ იყენებს კოლეჯის ბიბლიოთეკას (126 სტუდენტი).
- უმრავლესობა სტუდენტებისა ეთანხმება ან ნაწილობრივ მაინც ეთანხმება კოლეჯში ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემის გამართულობას, ინტერნეტის ხელმისავწდომობას, საჭიროების შემთხვევაში IT სპეციალისტის დახმარებას.
- სტუდენტების მიერ ასევე დადებითად შეფასდა კოლეჯის ახალი ვებ-გვერდი და სოციალური გვერდი.

კვლევის მონაცემები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე:

* კვლევის ფარგლებში მოხდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებითაც სტუდენტების გამოკითვა და გამოვლინდა, რომ ორი სტუდენტის გარდა არავინ არ იცის როდის და რა შემთხვევაში შეიძლება ინდივიდუალური გეგმით სარგებლობა.

კვლევის მონაცემები:

* კვლევის ფარგლებში დადგინდა სტუდენტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მდგრადობა შპს მარნეულის კოლეჯის არჩევის კუთხით. გამოკითხულთა თითქმის აბსოლიტურმა უმრავლესობამ, 189 (191) სტუდენტმა უპასუხა, რომ თავიდან რომ აბარებდნენ, ისევ იგივე კოლეჯს აირჩევდნენ.
* ასევე, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (189) აცხადებს, რომ ისინი ურჩევდნენ მეგობარს/ახლობელს/ნათესავს/თანასკოლელს შპს მარნეულის კოლეჯში ჩაბარებას.

დასკვნა:

- კვლევის მონაცემების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია, რაც დასტურდება სტუდენტების მხრიდან ყველა მიმართულების დადებითი შეფასებით.
- წინა წლის კვლევის შედეგების მიხედვით, გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები აღმოჩნდა ეფექტური.
- სტუდენტთა უმრავლესობამ იცის საკუთარი უფლებები და მოვალეობები, იცნობენ შეფასების სისტემას, საკუთარი პროფესიული პროგრამის მახასიათებლებს, იაზრებენ ინიციატივის მნიშვნელობას და აქვთ გარკვეული იდეები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.